ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №8

4 მარტი 2022 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

სხდომის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
წევრები- გურამ ოქროპირიძე, ირაკლი ნადირაძე, საბა ბუაძე, ალექსანდრე რატიშვილი,დავით ფარცვანია, აკაკი ალადაშვილი.
მოწვეული სტუმარი:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა.
სხდომა უფლებამოსილია,რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.
სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი.
დღის წესრიგი.
1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. საკრ.(№15-032206168-03; 11-01220612449 2,03,2022წ)

ლევან მიქავას მოხსენებით, რაიონულმა გამგეობებმა პირველი კვარტალში გადაჭარბებით შეასრულეს გზების მოვლა-შეკეთებაზე დაგეგმილი სამუშაოები და სჭირდებათ დამატებითი თანხები.
გლდანის რაიონს „გზების მოვლა-შეკეთება" ში (პროგრამული კოდი 01 01 08) პირველ კვარტალში ემატება 650 000 ლარი, მეოთხე კვარტლიდან.
ნაძალადევის რაიონს „გზების მოვლა-შეკეთება"-ში (პროგრამული კოდი 01 01 09) პირველ კვარტალში ემატება 400 000 ლარი, მეოთხე კვარტლიდან.
ვაკის რაიონს „გზების მოვლა-შეკეთება"-ში (პროგრამული კოდი 01 01 12) პირველ კვარტალში ემატება 190 000 ლარი, მესამე კვარტლიდან. გარდა ამისა ხდება წლიურ გეგმაში მუხლობრივი ცვლილება „არაფინანსური აქტივების მუხლს" ემატება 150 000 ლარი, „საქონელი და მომსახურების" მუხლის შესაბამისად შემცირებით.
კრწანისის რაიონს „გზების მოვლა-შეკეთება"-ში (პროგრამული კოდი 01 01 16) პირველ კვარტალში ემატება 71 000 ლარი, მესამე კვარტლიდან.
გადაჭარბებით შესრულებას ელოდებიან ასევე კეთილმოწყობის ღონისძიებების პროგრამაში და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში.
საბურთალოს რაიონის კეთილმოწყობის ღონისძიებების პროგრამაში (პროგრამული კოდი 02 09 15) პირველ კვარტალში ემატება 240 000 ლარი, ხოლო კრწანისის რაიონს (პროგრამული კოდი 02 09 18) 29 000 ლარი.
ასევე „საბურთალოს რაიონის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის" პროგრამაში (პროგრამული კოდი 05 01 13) პირველ კვარტალს ემატება 300 000 ლარი, ხოლო ნაძალადევის რაიონს (პროგრამული კოდი 05 01 09) ემატება 250 000 ლარი.
მარტის თვის ქირების გასაცემად პირველ კვრატალში 91 775 ლარის დამატება სჭირდება ვაკის რაიონს („დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები" პროგრამაში (პროგრამული კოდი 06 02 16 11), ხოლო ანალოგიურ პროგრამაში (პროგრამული კოდი 06 02 16 12) საბურთალოს რაიონს პირველ კვარტალში დამატებით სჭირდება 8 500 ლარი.
ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატი ავტოპარკის განახლების მიზნით გეგმავს დამატებით 6 ახალი ავტომობილის შესყიდვას, რაც არ იყო გათვალისწინებული 2022 წლის ბიუჯეტში, ასევე არ იყო გათვალისწინებული საკრებულოს თითოეული წევრის მიერ ცალკეული დავალებების შესრულებასთან

დაკავშირებული ხარჯების ანაზრაურების ზღვრული მოცულობა 3 830 ლარის ოდენობით, ნაცვლად 3200 ლარისა, რაც განიზაღვრა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლმანეტში ცვლილებით. შესაბამისად საკრებულოს აპარატის ბიუჯეტში, წლიურ გეგმაში ცვლილებით „საქონელი და მომსახურების" მუხლი მცირდება 175 700 ლარით და იზრდება „არაფინანსური აქტივების ზრდა" 122 000 ლარით, ხოლო „მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული" იზრდება 53 700 ლარით.

ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალურ ლაბორატორიას" სჭირდება, საგამოცდო ლაბორატორიისათვის მილსადენებისა და სანიაღვრე არხების შიდა ზედაპირის შესამოწმებელი დანადგარის კომპლექტის გადასაადგილებელი ავტოსატრანსპორტო საშუალება შესაბამისი აღჭურვილობით, რისთვისაც ითხოვს დამატებით 170 000 ლარს, შესაბამისად პროგრამაში: „სამუშაო ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები" (პროგ.კოდი 02 03 02) თანხის გადმოტანა ხდება, „ქალაქის განვითარების ხელშეწყობის" პროგრამიდან (პროგ.კოდი 02 10).

შემოსავლების ნაწილში, პირველი კვარტლის გეგმა მცირდება 16 000 000 ლარით დღგ-ს ნაწილში, ხოლო 4 000 000 ლარით მცირდება „მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის". აღნიშნულის დაბალანსება ხდება ნაშთის ცვლილებით.

კომისიის წევრებმა იკითხეს თუ რატომ გადადის დღგ-დან და დასუფთავების მოსაკრებლიდან მისაღები შემოსავლები მეორე კვარტალში, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ, გამომდინარე იქედან რომ არ იყო ცნობილი ნაშთის რაოდენობა ბიუჯეტის დამტკიცების დროს, ბიუჯეტის კვარტალური განწერა პირველ კვარტალში დაბალნასებისათვის შედგა ზედმეტობით, რისი გასწორებაც ხდება ეხლა.

ალექსანდრე რატიშვილმა აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ იქნებოდა ინფორმაცია საგამოცდო ლაბორატორიისათვის მილსადენებისა და სანიაღვრე არხების შიდა ზედაპირის შესამოწმებელი დანადგარის კომპლექტის გადასაადგილებელი ავტოსატრანსპორტო საშუალების ღირებულებაზე რატომ სჭირდებათ დამატებით 170 000 ლარი და არა მეტი ან ნაკლები. მომხსენებლმა აღნიშნა, რომ დაინტერესების შემთხვევაში მას შეუძლია ინფორმაციის გამოთხოვა შესაბამისი სამსახურიდან.

მომხრე-6 თავი შეიკავა-საბა ბუაძემ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ", სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, გამგეობების და ა(ა)იპ-ები ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის"ბ" ქვეპუნქტის და მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ხელაძე